გადაწყვეტილება

N გ-24-21/231
30/05/2024

231-გ-24-1-4-202405301100

სსიპ საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის და ა(ა)იპ „მედიააკადემიის“ 2023 წლის ბიუჯეტების მუხლების ფაქტიური შესრულების შესახებ

I. აღწერილობითი ნაწილი

საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისია (შემდგომში „კომისია“) აღნიშნავს, რომ კომისიის 2024 წლის 30 მაისის სხდომაზე მოსმენილი იქნა ადმინისტრაციის საფინანსო-საბიუჯეტო ჯგუფის უფროსის ნათია დევდარიანის ინფორმაცია 2023 წლის ბიუჯეტის მუხლების შესრულების შესახებ.

კომისიამ 2023 წელს ფაქტური ჯამური შემოსავალის სახით მიიღო 16,717,363 ლარი, რომელიც კატეგორიების მიხედვით გადანაწილებულია შემდეგი სახით:

შემოსავლის კატეგორია	ფაქტიური
რეგულირების საფასური	12,274,205 ₾
რადიოსიხშირული და ნუმერაციის რესურსით სარგებლობის საფასური	3,492,559 ₾
სხვა შემოსავლები	950,599 ₾
სულ შემოსავლები	**16,717,363 ₾**

კომისიის 2023 წლის ფაქტიურმა ხარჯებმა შეადგინა 14,654,959 ლარი:

ხარჯის კატეგორია	ფაქტიური
შრომის ანაზღაურების ხარჯები	8,187,440 ₾
მედიაწიგნიერების ხარჯები	3,123,772 ₾
კაპიტალური დანახარჯები	968,459 ₾
მომსახურების ხარჯები	668,659 ₾

მივლინების ხარჯები	313,911 ₾
საზოგადოებრივი დამცველის ხარჯები	262,288 ₾
რემონტისა და შენახვის ხარჯები	220,966 ₾
ელექტრონული მომსახურების ხარჯები	220,111 ₾
დაცვის ხარჯები	182,160 ₾
საზოგადოებასთან ურთიერთობის ხარჯები	166,255 ₾
კომუნალური ხარჯები	111,945 ₾
წარმომადგენლობითი ხარჯები	88,053 ₾
საწვავის ხარჯი	55,818 ₾
კომუნიკაციის ხარჯები	33,009 ₾
სხვა ხარჯები	23,997 ₾
საწევრო ხარჯები	21,080 ₾
საკანცელარიო ხარჯები	7,036 ₾
სულ ხარჯები	**14,654,959 ₾**

ააიპ „მედიააკადემიამ“ (შემდგომში „მედიააკადემია“) 2023 წლის განმავლობაში კომისიისგან მიზნობრივი დაფინანსების სახით მიიღო 2,306,270 ლარი. დამატებით გაეროს ბავშვთა ფონდისგან (UNICEF), პროექტის „მედიაწიგნიერების ფორმალურ განათლებაში ინტეგრირების ხელშეწყობის“ ფარგლებში გრანტის სახით (სხვა შემოსავლები) მიიღო 11,500 ლარი, რომელიც სრულად გაიხარჯა პროექტის ფარგლებში.

მედიააკადემიის 2023 წლის ფაქტიურმა ხარჯებმა კომისიის მიზნობრივი დაფინანსების ფარგლებში შეადგინა 2,294,770 ლარი:

ხარჯის კატეგორია	ფაქტიური
ადმინისტრაციული და საოპერაციო ხარჯები	1,388,885 ₾
შრომის ანაზღაურების ხარჯები	873,419 ₾
კაპიტალური დანახარჯები	32,466 ₾
სულ ხარჯები	**2,294,770 ₾**

შესაბამისად ააიპ მედიააკადემიის 2023 წლის ჯამურმა ხარჯებმა (გაეროს ბავშვთა ფონდისგან (UNICEF) დაფინანსებული პროექტის გათვალისწინებით) შეადგინა 2,306,270 ლარი.

II. სარეზოლუციო ნაწილი

„ელექტრონული კომუნიკაციების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-12 მუხლის და „მაუწყებლობის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-12 მუხლის შესაბამისად, კომისიამ კენჭისყრის შედეგად ერთხმად

გადაწყვიტა:

1. ცნობად იქნას მიღებული კომისიის ადმინისტრაციის საფინანსო- საბიუჯეტო ჯგუფის უფროსის ნათია დევდარიანის ინფორმაცია კომისიის და მედიააკადემიის 2023 წლის ბიუჯეტების მუხლების ფაქტიური შესრულების შესახებ;

2. დამტკიცდეს კომისიის 2023 წლის ბიუჯეტის ფაქტიური შესრულების მაჩვენებლები:

	ხარჯის კატეგორია	ფაქტიური
1	რეგულირების საფასური	12,274,205 ₾
2	რადიოსიხშირული და ნუმერაციის რესურსით სარგებლობის საფასური	3,492,559 ₾
3	სხვა შემოსავლები	950,599 ₾
	სულ შემოსავლები	**16,717,363 ₾**
1	კაპიტალური დანახარჯები	968,459 ₾
2	შრომის ანაზღაურების ხარჯები	8,187,440 ₾
3	მივლინების ხარჯები	313,911 ₾
4	მომსახურების ხარჯები	668,659 ₾
5	ელექტრონული მომსახურების ხარჯები	220,111 ₾
6	საზოგადოებასთან ურთიერთობის ხარჯები	166,255 ₾
7	კომუნიკაციის ხარჯები	33,009 ₾
8	კომუნალური ხარჯები	111,945 ₾
9	საკანცელარიო ხარჯები	7,036 ₾
10	დაცვის ხარჯები	182,160 ₾
11	საწვავის ხარჯი	55,818 ₾
12	საწევრო ხარჯები	21,080 ₾
13	რემონტისა და შენახვის ხარჯები	220,966 ₾
14	სხვა ხარჯები	23,997 ₾
15	წარმომადგენლობითი ხარჯები	88,053 ₾
16	საზოგადოებრივი დამცველის ხარჯები	262,288 ₾
17	მედიაწიგნიერება	3,123,772 ₾
17.1	*მედიაწიგნიერების ხარჯები*	*829,002 ₾*
17.2	*ა(ა)იპ მედიააკადემია*	*2,294,770 ₾*
	სულ ხარჯები	**14,654,959 ₾**

3. დამტკიცდეს მედიააკადემიის 2023 წლის ბიუჯეტის ფაქტიური შესრულების მაჩვენებლები:

	დასახელება	ფაქტიური
1	კომისიის მიზნობრივი დაფინანსება	2,294,770 ₾
2	სხვა შემოსავლები	11,500 ₾
	სულ შემოსავლები	**2,306,270 ₾**
1	კაპიტალური დანახარჯები	32,466 ₾
2	შრომის ანაზღაურების ხარჯები	873,419 ₾
3	ადმინისტრაციული და საოპერაციო ხარჯები	1,400,385 ₾
	სულ ხარჯები	**2,306,270 ₾**

4. გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქ. თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი N64) ერთი თვის ვადაში;

5. კონტროლი აღნიშნული გადაწყვეტილების შესრულებაზე დაევალოს კომისიის ადმინისტრაციის საფინანსო-საბიუჯეტო ჯგუფს (ნ. დევდარიანი).

ვახტანგ აბაშიძე

თავმჯდომარე - მ.შ.

ეკატერინე იმედაძე

წევრი

ნათია კუკულაძე

წევრი

ივანე მახარაძე

წევრი